დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132. 1322431732**

თარიღი:**12/11/2024**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა." და ,,ე.ე." ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 119 მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის N54 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: სოფ, ჭოპორტში მდებარე 152 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების ს/კ 71.64.89.280) პრივატიზების მიზნით.

2. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 7957 (შვიდი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

3. ქონების პრივატიზების მიზნით აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის ,,ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარით, ხოლო ,,ბიჯი"-ს ოდენობა 100 (ასი) ლარით.

4. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17.)

ვასილ წიკლაური

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი